ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი
ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.11.2016

საჩივრის რეგისტრაციის #090/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. გ-ს მიმართ, სიითი #

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. გ-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2016 წლის 08 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ქ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. გ-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება 2016 წლის 15 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და 2018 წლის 07 მაისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

1.2. ადვოკატ ირაკლი ნოზაძის შემდეგ საჩივრის ავტორის საქმის წარმოება სასამართლოში განაგრძო ადვოკატმა ლ. გ-მა, რომელსაც ნ. ქ.-მ მინდობილობა გაუფორმა 2015 წლის 27 აპრილს. ადვოკატმა ლ. გ-მა ნ. ქ.-ს განუმარტა, რომ ადვოკატი ირაკლი ნოზაძე გადაიხდიდა ყველა თანხას საქმესთან დაკავშირებით, გარდა სახელმწიფო ბაჟისა. ადვოკატმა ლ. გ. ნ. ქ.-ს წარმომადგენლობა სასამართლოში განაგრძო მესამე სხდომაზე. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ განაცხადა, რომ ,,სარჩელი იყო შესაცვლელი და თავიდან შესატანი სასამართლოში".

1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ საქმესთან დაკავშირებით მან თავიდან აიღო სახელფასო ამონაწერი და საბანკო ვალდებულებების ცნობები მტკიცებულებების სახით, რადგან დაერთო საქმეზე. მოგვიანებით, ადვოკატმა აცნობა, რომ საქმესთან დაკავშირებით იყო გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი 1500 (ათას ხუთასი) ლარი და დამატებით წარსადგენი დოკუმენტები. 2015 წლის 16 ივნისს ნ. ქ.-მ აღნიშნული თანხა გადარიცხა ლ. გ-ს საბანკო ანგარიშზე.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ლ. გ-მა აცნობა, რომ მის საქმეზე სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2015 წლის 16 სექტემბერს და აქვე შეატყობინა, რომ საქმის მსვლელობის უკეთ წასაყვანად ესაჭიროებოდა ცნობა ბინის შეფასების შესახებ. ადვოკატმა ბინის ცნობასთან დაკავშირებით ნ. ქ.-ს გამოართვა თანხა 250(ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ამის შემდგომ მან მხოლოდ სიტყვიერად განუცხადა საჩივრის ავტორს, რომ ზარალი შეფასდა 75 000 აშშ დოლარად, თუმცა აღნიშნულის დასადასტურებლად ადვოკატს ნ. ქ.-სთვის რაიმე დოკუმენტი არ წარუდგენია.

1.5. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი წინასწარ გაეთავისუფლა სამსახურიდან 16 სექტემბერს სასამართლო პროცესისთვის, პროცესამდე ნ. ქ. დაუკავშირდა ადვოკატ ლ. გ-ს, თუმცა ადვოკატმა განუცხადა, რომ სასამართლო პროცესის თარიღი იყო 18 სექტემბერს. ნ. ქ. საქმის გადამოწმების მიზნით, დაუკავშირდა სასამართლო კანცელარიას და გადაამოწმა ადვოკატ ლ. გ-ს მიერ მიწოდებული ინფორმაცია სხდომის თარიღის შესახებ და გაარკვია, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, 2015 წლის 16 სექტემბერს არ ყოფილა დანიშნული სასამართლო სხდომა და არც საქმე იმყოფებოდა მათ შემადგენლობაში.

1.6. ნ. ქ. დაუკავშირდა ადვოკატ ლ. გ-ს და აცნობა საქმის ვითარების შესახებ, საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. გ-მა მას სხვაგვარი ინფორმაცია მიაწოდა საქმის თაობაზე და უთხრა, რომ მისი მოწინააღმდეგე მხარეთა ქონება დაყადაღებული იყო და საქმე აპელაციის წესით გასაჩივრდა.

1.7. ნ. ქ.-ს განმარტებით, ყველა მცდელობის მიუხედავად, ის მაინც ვერ ახერხებდა ადვოკატ ლ. გ.-თან შეხვედრას, ცდილობდა ტელეფონზე დაკავშირებას, ასევე ვაიბერის მეშვეობით, თუმცა ადვოკატი ყოველთვის იმიზეზებდა დროის უქონლობას. 2015 წლის 4 ოქტომბერს ნ. ქ. დაუკავშირდა ადვოკატ ლ. გ-ს მეუღლეს, მაგრამ მისი განმარტებით, მან არ იცოდა მისი მეუღლის ადგილსამყოფელი, ამის შემდგომ, ლ. გ-ს მეუღლის ტელეფონი გამორთულია და დაკავშირება ვერ ხერხდება.

1.8. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაცია მისი საქმის თაობაზე და გაარკვია, რომ ადვოკატ ლ. გ-ს, როგორც მისი წარმომადგენლის მიერ სარჩელი პირველად დარეგისტრირდა 2015 წლის 02 ნოემბერს, სარჩელში არ იყო მითითებული მოპასუხედ მ. ი., რომელიც 2010 წლიდან იყო ამხანაგობის თავჯდომარე თ. ნ.-ის ნაცვლად. სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ მოსარჩელის მიერ არ იყო დაზუსტებული მოპასუხეთა წრე, ანუ არ იყო განსაზღვრული კონკრეტული ადრესატები. მოცემული სარჩელისთვის სახელმწიფო ბაჟის სახით საჩივრის ავტორმა გადაიხადა 1500 (ათას ხუთასი) ლარი, თუმცა სასამართლომ აღნიშნული საქმის წარმოებაში მიღებაზე უარი განაცხადა, რადგან სარჩელი იყო ხარვეზიანი, რადგან მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟი სრულად არ იყო გადახდილი. ამის შემდეგ, ადვოკატმა ლ. გ-მა ნ. ქ.-ს გამოართვა საბანკო ანგარიში, რადგან უკან გადაერიცხა სახელმწიფო ბაჟზე გადახდილი 1500 ლარიდან 1400 ლარი, დარჩენილი 100 ლარი კი ახალი სარჩელის სახელმწიფო ბაჟისთვის იყო საჭირო, მაგრამ ადვოკატ ლ. გ-ს აღნიშნული თანხა ნ. ქ.-სთვის არ დაუბრუნებია. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმდნენ ერთად გაერკვიათ აღნიშნული საკითხი, ადვოკატი ლ. გ. კვლავ არ შეხვდა ნ. ნ.-ს, ტელეფონზე გასაუბრებისას განუცხადა, რომ იგი თავად მოაგვარებდა ამ საკითხს.

1.9. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის 22 მარტს მისი სახელით ადვოკატმა ლ. გ-მა მეორედ მიმართა სასამართლოს ახალი სარჩელით, თუმცა სასამართლომ კვლავ არ მიიღო საქმე წარმოებაში, რადგან ადვოკატმა ლ. გ.-მა თავდაპირველი ხარვეზი არ გამოასწორა.

1.10. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ლ. გ-მა მისი საქმე არასწორი მიმართულებით აწარმოა, სასამართლოში წარადგინა გაუმართავი სარჩელი, მათ შორის არასწორად მიუთითა სასარჩელო მოთხოვნა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი, რაც არ შეესაბამება იმ თანხას რაც ზიანის სახით რეალურად მიადგა საჩივრის ავტორს. ამის შემდეგ, ნ. ქ.-ს დაუკავშირდა ადვოკატი ლ. გ. და უთხრა, რომ სასამართლოში სახელმწიფო ბაჟზე კვლავ იყო 1500 (ათას ხუთასი) ლარი გადასახდელი, რადგან სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში, სასამართლო არ იმსჯელებდა ამ საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატმა ნ. ქ.-ს განუცხადა, რომ აღნიშნულ თანხას თვითონვე გადაიხდიდა და საქმის მსვლელობას ბოლომდე მიიყვანდა.

1.11. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდგომ რაც მან ეთიკის კომისიას მომართა საჩივრით, ადვოკატები ირაკლი ნოზაძე და ლ. გ. დაუკავშირდნენ მას და დაუბრუნეს მათთვის გადაცემული ჰონორარი, სახელმწიფო ბაჟის თანხა - 4300 (ოთხი ათას სამასი) ლარის ოდენობით, რის შემდეგაც მათ შორის შედგა შეთანხმება, რომ ნ. ქ. ეთიკის კომისიიდან უკან გაიხმობდა მათ წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებს.

1.12. საჩივრის ავტორმა ნ. ქ.-მ 2018 წლის 07 მაისს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე განაცხადა და წერილობით დააფიქსირა პოზიცია იმის თაობაზე, რომ ის უარს აცხადებს ადვოკატ ლ. გ-ს მიმართ საჩივარზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. გ-მა 2017 წლის 19 აპრილს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატმა 2018 წლის 07 მაისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განცხადებით, თავდაპირველად, 2010 წელს საჩივრის ავტორის საქმის წარმოება დაიწყო ადვოკატმა ირაკლი ნოზაძემ, მან დააყადაღა სადავო ქონება და შესაბამისად, სასამართლოში მიმდინარეობდა საქმის წარმოება. ნ. ქ.-ს მიერ მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკების შედეგად მოიხსნა ყადაღა ქონებაზე, თუმცა მოწინააღმდეგე მხარემ არ შეასრულა მიცემული პირობა. ამის შემდგომ, ადვოკატ ირაკლი ნოზაძის მიერ პროკურატურაში შეტანილი საჩივრით მოწინააღმდეგე მხარე მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მოცემულ საქმეში, ნ. ქ. დაზარალებულად ცნეს, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ იყო შესული და სამოქალაქო წესით დავისათვის საჩივრის ავტორს სახელმწიფო ბაჟის სახით 3000 (სამი ათასი) ლარი უნდა გადაეხადა, თუმცა თანხის გადახდის საშუალება ნ. ქ.-ს არ ჰქონდა.

2.3 ნ. ქ.-ს თხოვნით, 2014 წლის დასაწყისში, ადვოკატმა ირაკლი ნოზაძემ ბაჟის გადახდის გარეშე მიმართა სასამართლოს სარჩელით, რის შემდგომაც, მოცემულ საქმეზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლობა განაგრძო ადვოკატმა ლ. გ-მა. ადვოკატმა საჩივრის ავტორს სასამართლო სხდომის დაწყებამდე განუმარტა, რომ მოცემული სარჩელი უპერსპექტივო იყო, რაც აგრეთვე მოსამართლემაც აღნიშნა და მიუთითა, რომ ბაჟი უნდა გადახდილიყო და საქმის წარმოების ტაქტიკა შეცვლილიყო. სასამართლომ მოცემული სარჩელი წარმოებაში არ მიიღო.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან ნ. ქ.-ს განუმარტა, რომ სარჩელით მათ უნდა მიემართათ, არა ამხანაგობის წინააღმდეგ, არამედ ამხანაგობის ყოველი წევრის მიმართ, რადგან ამხანაგობა იურიდიული პირი არ არის. ამხანაგობის წევრთა რაოდენობა დაახლოებით იყო 150, რის გამოც მათთვის სარჩელის ჩაბარება დიდ ხარჯებთან და პროცედურებთან იყო დაკავშირებული, ამასთან, საჭირო იყო გარკვეული დოკუმენტაციის მოძიება. მიუხედავად ამისა, ნ. ქ.-მ უთხრა, რომ დახმარებოდა მას და მაინც ეცადათ და მიემართათ სარჩელით ამხანაგობის წინააღმდეგ. ადვოკატის განცხადებით, მისთვის ჰონორარი ნ. ქ.-ს არ გადაუხდია. მას მხოლოდ 200 (ორასი) ლარი გადასცა, რომელიც უკან დაუბრუნა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, ნ. ქ. ეჭვობდა რომ ის და ადვოკატი ირაკლი ნოზაძე მოწინააღმდეგე მხარეს გაურიგდა, თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ადვოკატის განმარტებით, ადვოკატ ირაკლი ნოზაძესთან ერთად ის შეუთანხმდა ნ. ქ.-ს, რომ დაუბრუნებდნენ ყველა იმ თანხას, რაც მან ადვოკატებს გადასცა, რათა შემდგომში შეძლებოდა ადვოკატის აყვანა და საქმის წარმოების გაგრძელება. ადვოკატის განმარტებით, ნ. ქ.-ს მისი და ადვოკატ ირაკლი ნოზაძის მიერ თანხის დაბრუნების შემდგომ უნდა გამოეთხოვა მათ წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი ეთიკის კომისიისდან, თუმცა შეთანხმების მიუხედავად საჩივრის ავტორმა არ შეასრულა პირობა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2017 წლის 01 დეკემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. გ-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის არქონისას არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი, რაც კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში ადვოკატი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, ვერ შეძლებს წარმოადგინოს საჩივრის ავტორის ინტერესები, რაც წარმოშობს სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას, რის შესახებაც კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული. მოცემულ შემთხვევაში, კი მინდობილობაში მიეთითა ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობის განხორციელება ყველა ინსტანციაში, რასაც ადვოკატი ნ. ქ.-ს საქმეზე ვერ განახორციელებდა მეორე ინსტანციაში საქმის წარმოებისას. ადვოკატმა კლიენტს მომსახურება გაუწიოს იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც მინიჭებული აქვს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია.

3.3. საპროცესო კოლეგიამ ივარაუდა, რომ ადვოკატმა შესაძლოა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, მათ შორის არ მიაწოდა საჩივრის ავტორს საქმის მდგომარეობის შესახებ დროულად სწორი და სრულყოფილი ინფორმაციას.

3.4. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. გ-ს ქმედებაში აღმოაჩინა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის; მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაძლო დარღვევის ნიშნები. შესაბამისად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. გ-ს მიმართ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. ადვოკატი ლ. გ. საჩივრის ავტორს ნ. ქ.-ს უწევდა იურიდიულ მომსახურებას 2015 წლის აპრილის თვიდან.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. *მხარეთა მიერ წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები;*
2. *2015 წლის 27 აპრილს ადვოკატ ლ. გ-ს სახელზე გაფორმებული მინდობილობა; (ს.ფ.95)*

4.2. ადვოკატებმა ლ. გ-მა და ირაკლი ნოზაძემ საჩივრის ავტორს დაუბრუნეს მათგან მიღებული ჰონორარი და სახელმწიფო ბაჟის შეტანისათვის გადაცემული თანხა სრულად - 4300 (ოთხი ათას სამასი) ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები;

4.3. 2018 წლის 07 მაისს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა ნ. ქ.-მ წარმოადგინა ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, იმის თაობაზე, რომ ის უარს ამბობს ადვოკატ ლ. გ-ს მიმართ შემოტანილ საჩივარზე და მოითხოვა დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. *საჩივრის ავტორის - ნ. ქ.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება (2018 წლის 07 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ჩანაწერი)*
2. *საჩივრის ავტორის 2018 წლის 07 მაისის წერილობითი განცხადება; (ს.ფ.182)*

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. გ-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ 2018 წლის 07 მაისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა ნ. ქ.-მ განმარტა, რომ ის უარს ამბობს ადვოკატ ლ. გ-ს მიმართ შემოტანილ საჩივარზე და ითხოვა დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტა (განცხადება; ს.ფ.182).

6.2. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე“.

6.3. განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ლ. გ-ს მიმართ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, 33-35 მუხლებით, 37-ე მუხლით და გადაწყვიტა:

1. № 090/16 დისციპლინურ საქმეზე ადვოკატ ლ. გ-ს მიმართ /სიითი N/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბელავა/